



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა,
ქართული როგორც მეორე ენა)

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

24.05.21

დასკვნის წარდგენის თარიღი

16.07.21

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)
უმაღლესი განათლების საფეხური	II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და ქართულში, როგორც მეორე ენაში)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით, 0114
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და ქართულში, როგორც მეორე ენაში)
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიაკონიძე, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) მიზანია მოამზადოს სტუდენტი ქართულის, როგორც მეორე ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის მასწავლებლის კვალიფიკაციის შესაბამისად. პროგრამის ამოცანაა მიაწოდოს სტუდენტს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულებისთვის აუცილებელი საგნობრივი ცოდნა და ჩამოუყალიბოს პედაგოგიური უნარ-ჩვევები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია სასკოლო პრაქტიკის კვლევა. აღნიშნული კომპონენტი უნდა განხორციელდეს ქართული ფილოლოგიის დარგში (ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება) ან ინგლისური ენის მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის შედეგად მოხდება კვლევითი უნარების გაუმჯობესება, სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება და კრიტიკული შეფასება, სამეცნიერო ნაშრომის მომზადების, გაფორმებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 8 21 0000432524 (29/04/2021) თანახმად, 2021 წლის 24 მაისს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა,

ქართული როგორც მეორე ენა) აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, თამარ გვიანიშვილი, მიხეილ გიორგაძე, ინგა დიაკონიძე, სოფიკო შარაბიძე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დისტანციური ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან.

დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მესამე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეოთხე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეხუთე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ის მოკლედ და კონკრეტულად.
- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისას აქცენტი გაკეთდეს პროგრამის შინაარსთან დაკავშირებულ სპეციფიურ კომპეტენციებზე და საჭიროებებზე.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იყოს ის სასწავლო კურსი / კომპონენტი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა ფარგლებშიც მიიღწევა და ფასდება ეს თუ ის კომპეტენცია. აღნიშნულის გათვალისწინებით შეირჩეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია და შეფასების პერიოდულობა.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი და ის შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკის კვლევის პრინციპებთან. დეტალურად გაიწეროს პრაქტიკის კვლევის ეტაპების შესაბამისი კალენდარი და პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის სკოლების, უფლება-მოვალეობები.
- განხორციელდეს პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება, რაც ასახავს თავად პროცესს და პროგრამის მუშაობაში ჩართული მხარეების მონაწილეობასა და მათ კონტრიბუციას.
- პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.
- პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
- გადაიხედოს არსებული კომპეტენციების რუკა და ის ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფს მიეცეს შესაძლებლობა დაადგინოს, რომელი კურსის ფარგლებში მიიღწევა და ფასდება პროგრამის ესა თუ ის სწავლის შედეგი.
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.
- ზუსტად დაიგეგმოს და პროცედურულად გაიწეროს ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი მექანიზმი.
- პროგრამა მოიცავს ქართულის, როგორც მეორე ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და ინგლისური ენის სწავლების კომპეტენციებისათვის საჭირო საგნებს, თუმცა ინგლისური ენის სწავლებისათვის გამოყოფილი ნაწილი სრულად ვერ განაპირობებს პროგრამის მიზნების მიღწევადობას. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულეობა.
- ცალკეული კურსის/კურსების ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს საკონტაქტო საათებისა და კრედიტების რაოდენობა;
- მოხდეს სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა ყოველი შესასწავლი კურსის მიზნებთან, შინაარსთან და მისაღწევ შედეგებთან.
- მოხდეს სასწავლო კურსების ისე შერჩევა, რომ თავიდან იქნას აცილებული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების დუბლირება.
- მოხდეს კურსების შინაარსის მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
- სწორად იქნას განსაზღვრული თითოეული კურსისათვის ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.
- მოხდეს კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების კურსის შინაარსთან, მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განახლებული იქნას სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის.
- საავტორი უფლების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით, რიდერის გამოყენების შემთხვევაში, მოხდეს რიდერის ავტორის, ისევე როგორც მასში შემავალი სახელმძღვანელოების და ავტორების მითითება.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს, რა ფორმით ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსის თითოეული შედეგი;
- მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგების წარმოდგენა 3 სფეროს მიხედვით - ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწირება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.
- მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებით მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული პერსონალი, რომელთა სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას, ფლობდეს სათანადო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას პრაქტიკის კვლევის მიმართულებით.
- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დაბალანსდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა.
- პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩეს დარგის და მიმართულების შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მიხედვით, როგორც ამას ითვალისინებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციები.
- პრაქტიკაში განხორციელდეს პერსონალის შეფასება და წახალისება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი წესის მიხედვით.
- გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები. რაც, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
- დაინერგოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.
- მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ბიუჯეტის უფრო დეტალიზებული დაგეგმვა მოცემული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი მუხლის გათვალისწინებით.
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და გან-

ვითარების მეთოდოლოგიაში“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვენის მიზნით).

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში).
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს როგორც მის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება, ისე ყველა მიმდინარე შეფასების და ანალიზის დოკუმენტირება, რის გარეშე შეუძლებელია შეფასების შედეგების რელევანტურობის დადგენა, პროგრამის შესაბამისობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება.
- აუცილებელია პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტებმა დაიწყოს პრაქტიკის კვლევის კურსის ფარგლებში (მე-9 სემესტრი). სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კი (მე-10 სემესტრი) გააგრძელონ და დაასრულონ მუშაობა. ამით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ ერთი წელი იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომზე, რაც სკოლებში ცვლილებების დანერგვისთვის და მათი შეფასებისთვის უფრო რელევანტური პერიოდია.
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის წერისა და გაფორმების წესების შესახებ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს.
- სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სასურველია, თითოეული კურსისთვის განისაზღვროს საკონსულტაციო საათების დრო და კონსულტაციები განხორციელდეს დადგენილი განრიგის მიხედვით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კონკრეტული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პროგრამის წარმატებული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.
- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციების, ისე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია. ამასთან, პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მოამზადოს სტუდენტი ქართულის, როგორც მეორე ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. პროგრამის ამოცანაა მიაწოდოს სტუდენტს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულებისთვის აუცილებელი საგნობრივი ცოდნა და ჩამოყალიბოს პედაგოგიური უნარ-ჩვევები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია სასკოლო პრაქტიკის კვლევა. აღნიშნული კომპონენტი უნდა განხორციელდეს ქართული ფილოლოგიის დარგში (ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით), ან ინგლისური ენის მიმართულებით. სამაგისტრო ნაშრომის შედეგად მოხდება კვლევითი უნარების გაუმჯობესება, სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება და კრიტიკული შეფასება, სამეცნიერო ნაშრომის მომზადების, გაფორმებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

უნივერსიტეტის განაცხადით, პროგრამის მიზნებში ასახულია თანამედროვე კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარი, რაც განაპირობებს პროგრამის კონკურენტუნარიანობას.

უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული ხედვისა და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამავდროულად, წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს ინტერნაციონალიზაციის განაცხადს. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ხელმისაწვდომია გაფორმებული რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულების ან კონკრეტული გავცლითი პროგრამის ფარგლებში (მევიწიანი გაცვლითი პროგრამები) თანამშრომლობის

სურვილის გამომხატველი ოქმები. ხელშეკრულებების უმეტესობას გასული აქვს მოქმედების ვადა. ექსპერტთა ჯგუფმა სცადა, დაეზუსტებინა აღნიშნული საკითხი ინტერვიუების დროს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მოწოდებული დოკუმენტაცია საერთაშორისო თანამშრომლობების შესახებ ზოგად საუნივერსიტეტო ხასიათს ატარებს. მასწავლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლები ადასტურებენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საჭიროებას, თუმცა, ამ ეტაპზე, აღნიშნული საკითხი მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკებებით შემოიფარგლება. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ვერ მოხდა დასაბუთება, როგორ აისახება აღნიშნულ უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პერსპექტივები წარმოდგენილ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე.

პროგრამის შინაარსის, მიზნების, შედეგების და, განსაკუთრებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და უნივერსიტეტის ხედვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, პროგრამა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნის ცალკეული მონაკვეთებს შორის ვხდებით გადაფარვებს. კერძოდ, მიზნის ერთი მონაკვეთი - „პროგრამის ძირითადი მოდულების ამოცანაა მიაწოდოს სტუდენტს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულებისთვის აუცილებელი საგნობრივი ცოდნა და პედაგოგიური უნარ-ჩვევები“ მოიცავს და ფარავს მიზნის ყველა დანარჩენ ნაწილებს - 1) 300-კრედიტიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საუნივერსიტეტო განათლება როგორც განათლების მეცნიერებების, ასევე, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ინგლისური ენის მიმართულებით; 2) სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ასევე, სპეციალობის მიხედვით სასკოლო პრაქტიკის კვლევა; კერძოდ, ქართული ფილოლოგიის დარგში (ქართული ენისა და ლიტერატურის სფეროში), ასევე, ინგლისური ენის მიმართულებით მიღებული ცოდნისა და განათლების მეცნიერებების კვლევის მეთოდების გამოყენებით სასკოლო პრაქტიკის კვლევა, კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარების გაუმჯობესება, სამეცნიერო ინფორმაციის მოძიება და კრიტიკული შეფასება, სამეცნიერო ნაშრომის მომზადების, გაფორმებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

უნივერსიტეტმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოკითხა პოტენციური დამსაქმებლები საჯარო და კერძო სექტორიდან. როგორც პროგრამის თვითშეფასებაშია ახსნილი, პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას პროგრამის სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ კვლევას დაეყრდნო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევაში არ არის მოცემული ინფორმაცია შერჩევის შესახებ. შერჩევის მეთოდოლოგიის აღწერა უფრო სანდოს და ვალიდურს გახდიდა კვლევის ფარგლებში მიღებულ შედეგებს და უფრო მკაფიო იქნებოდა კვლევის შედეგების კავშირი დასკვნებთან და რეკომენდაციებთან. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია და დასმული კითხვები ეხმიანება ძირითადად ზოგად კომპეტენციებს. სასურველი იქნებოდა კვლევაში მონაწილე პირებისთვის დასმულიყო კითხვები მასწავლებლის სპეციფიური კომპეტენციებთან დაკავშირებით, რაც ზოგად კომპეტენციებთან ერთად გამოკვეთდა პროგრამის სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭი-

როგობებს. როგორც აღნიშნული კვლევის შედეგებმა, ასევე როგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუებმა ვერ დაადასტურა კვლევის შედეგების გავლენა პროგრამის შინაარსზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ქართული უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით.
- გადაიხედოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ის მოკლედ და კონკრეტულად.
- რეკომენდებულია, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისას აქცენტი გაკეთდეს პროგრამის შინაარსთან დაკავშირებულ სპეციფიურ კომპეტენციებზე და საჭიროებებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) :

- -

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) სწავლის შედეგები შეესაბამება მასწავლებლის განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოითქვა მოსაზრებები, რომ პროგრამის სწავლის შედეგების იდენტიფიცირება განხორციელდა პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანამონაწილეობით, თუმცა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა არაერთგვაროვანი პასუხები პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე. პროგრამას მტკიცებულების სახით არ ახლავს პროგრამის შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

პროგრამის / სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში სრულყოფილად არ არის ასახული მდგრადი განვითარების საკითხები, რაც დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული აუცილებელი კომპეტენციაა. არც პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებშია გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა აღნიშნული კომპეტენციის განვითარებას.

როგორც პროგრამის მიზნებში, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებში აქცენტირებულია სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციის განვითარება. გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელდება სასკოლო პრაქტიკის კვლევა. პროგრამას თან ახლავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესისა და მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, სადაც არ ჩანს პრაქტიკის კვლევის, როგორც კვლევის დიზაინის სპეციფიკა. შესაბამისად, ბუნდოვანი რჩება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევის დიზაინის შერჩევასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებულია მე-10 სემესტრში. როგორც ინტერვიუებიდანაც დგინდება, სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად და კვლევითი კომპეტენციის განსავითარებლად მე-8 სემესტრში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია კვლევის თანამედროვე მეთოდები, ხოლო მე-9 სემესტრში პრაქტიკის კვლევის კურსი. აღნიშნული განმარტებები ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას სტუდენტები იწყებენ მე-10 სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (ზემოთ აღნიშნული კურსების გავლის შემდეგ). უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის კვლევა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, კომპლექსური და გრძელვადიანი პროცესია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტს კვლევის ადგილზე - სკოლაში პრობლემის დიაგნოსტიკისთვის, ინტერვენციების დაგეგმისთვის და ინტერვენციების შედეგების შესაფასებლად საკმარისი დრო მიეცეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტში დეტალურად აღიწეროს პრაქტიკის კვლევის მიმდინარეობა და ეტაპები, ჩართული მხარეების, მათ შორის სკოლების უფლება-მოვალეობები და შედეგს პრაქტიკის კვლევაზე მუშაობის პროცესის კალენდარი. აღნიშნული თანხვედრაში მოვიდეს პრაქტიკის კვლევის ძირითად პრინციპებთან.

პროგრამის სწავლის მისაღწევ შედეგებში ვხვდებით შემდეგ კომპეტენციებს: ზრუნავს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე; ადეკვატურად აფასებს საკუთარ და სხვის ცოდნას. პასუხისმგებლობით გეგმავს თავისი და სხვისი ცოდნის განვითარებას. პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ისეთი თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი შეძლებდა თვითშეფასების საფუძველზე პროფესიული განვითარების გეგმის, როგორც აღნიშნული კომპეტენციის მიღწევის მტკიცებულების შემუშავებასა და წარმოდგენას. შესაბამისად, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც შეფასდებოდა აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის დონე. პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, რომელიც აღწერს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. თუმცა აღნიშნული რუკა არ იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რომელი კურსის ფარგლებში მიიღწევა და ფასდება ესა თუ ის სწავლის შედეგი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული მექანიზმების მიხედვით, რომელიც საერთოა დაწესებულებაში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების სქემა პროგრამის ძირითადი დოკუმენტის - პროგრამის აღწერის ნაწილს წარმოადგენს და მასში მითითებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულები.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებულია პროგრამის ყველა სასწავლო კურსი. სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა განსაზღვრულია ყველა სასწავლო კურსისთვის. რეკომენდებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგი შეფასდეს იმ სასწავლო კურსის / კომპონენტის ფარგლებში, სადაც მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი და სამიზნე ნიშნული და პერიოდულობაც განისაზღვროს კონკრეტულად ამ სასწავლო კურსის / კომპონენტისათვის. როგორც ინტერვიუების დროს ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, აკრედიტაციის ვიზიტამდე მათ გადახედეს სწავლის შედეგების შეფასების აღნიშნულ მექანიზმს და დაგეგმეს მისი მოდიფიცირება. კერძოდ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმად უნივერსიტეტი გეგმავს გამოიყენოს სტუდენტის აკადემიური საქმიანობის შემაჯამებელი კომპონენტი - პორტფოლიო.

პროგრამის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელშიც აღწერილი იქნებოდა სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში, დასაქმების აღწერით ნაწილში მითითებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს შემდეგ დაწესებულებებში:

- საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო დონეზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად;
- საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო დონეზე უმცირესობებისათვის ქართული ენის, როგორც (სახელმწიფო ენის (მეორე ენის) მასწავლებლად;
- საქართველოს საჯარო სკოლის ყველა საფეხურზე ინგლისური ენის მასწავლებლად;
- ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში ფილოლოგიისათვის განსაზღვრული მიმართულებით;
- რაფორმალური განათლების სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებში;

- სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებში, როგორც ფილოლოგიის, ასევე-განათლების მეცნიერებების მიმართულებით.

აღნიშნულ ჩამონათვალში დასაქმების სფეროებში მითითებულია მხოლოდ საჯარო სკოლები და არ არის მითითებული კერძო სკოლები. ასევე, ჩამონათვალში მითითებულია კვალიფიკაციისათვის ნაკლებად შესაბამისი დაწესებულებები, მაგალითად, ლიტერატურული და მემორიალური მუზეუმები, ბიბლიოთეკები და არქივები და სხვ. არქივებში დასაქმებასთან დაკავშირებით დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანების მიხედვით განსაზღვრულია საქმიანობა და წესები, ითვალისწინებს სამამულო საარქივო საქმის გამოცდილებას, დოკუმენტებზე მუშაობის თანამედროვე მიღწევებს ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მოითხოვს დამატებით მომზადებას და არ შედის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებში, ასევე სასწავლო კურსების შინაარსში.

რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- “დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174 ბრძანება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული იყოს ის სასწავლო კურსი / კომპონენტი და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელთა ფარგლებშიც მიიღწევა და ფასდება ეს თუ ის კომპეტენცია. აღნიშნულის გათვალისწინებით შეირჩეს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულების შერჩევის მეთოდოლოგია და შეფასების პერიოდულობა.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი და ის შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკის კვლევის პრინციპებთან. დეტალურად გაიწეროს პრაქტიკის კვლევის ეტაპების შესაბამისი კალენდარი და პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის სკოლების, უფლება-მოვალეობები.
- განხორციელდეს პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება, რაც ასახავს თავად პროცესს და პროგრამის მუშაობაში ჩართული მხარეების მონაწილეობასა და მათ კონტრიბუციას.
- პროგრამის სწავლის შედეგებში დაემატოს მდგრადი განვითარების საკითხები. აღნიშნული სწავლის შედეგის გათვალისწინება მოხდეს პროგრამის სასწავლო კრუსებში. განისაზღვროს აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნული.

- პროგრამას დაემატოს თემატიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა საკუთარი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროფესიული განვითარების გეგმა.
- გადაიხედოს არსებული კომპეტენციების რუკა და ის ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფს მიეცეს შესაძლებლობა დაადგინოს, რომელი კურსის ფარგლებში მიიღწევა და ფასდება პროგრამის ესა თუ ის სწავლის შედეგი.
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამის დასაქმების სფეროები კვალიფიკაციის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა სტუდენტებმა დაიწყოს პრაქტიკის კვლევის კურსის ფარგლებში (მე-9 სემესტრი). სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კი (მე-10 სემესტრი) გააგრძელონ და დაასრულონ მუშაობა. ამით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემა ერთი წელი იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომზე, რაც სკოლებში ცვლილებების დანერგვისთვის და მათი შეფასებისთვის უფრო რელევანტური პერიოდია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს განსაზღვრულია აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად.

ინგლისური ენის ცოდნა A1 დონე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა ფაქტორებმა განაპირობა პროგრამის წინაპირობად A1 დონის განსაზღვრა იმ პირობებში, როცა მოცემული პროგრამა მიზნად ისახავს, რომ მისი კურსდამთავრებული სწავლის დასრულების შემდეგ ფლობდეს C1 დონის ენობრივ კომპეტენციას ინგლისურ ენაში, რაც საკმაოდ ამბიციურ მიზანს წარმოადგენს პროგრამის მრავალპროფილიანობის, სტრუქტურის და შედეგების გათვალისწინებით (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სტანდარტი 2.2).

პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის A1 დონის განსაზღვრა განპირობებულია ერთიანი ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული მრავალწლიანი გამოცდილებით. კერძოდ, იმ ფაქტით, რომ ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების დონე არაერთგვაროვანია. სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა ვერ ადასტურებს A1 დონეზე უფრო მაღალ კომპეტენციას ინგლისურ ენაში, ამიტომაც ხდება მათი განთავსება პროგრამით გათვალისწინებულ ინგლისური ენის სხვადასხვა დონის კურსზე (A2-C1).

მიღების წინაპირობის ეროვნული გამოცდების არაერთგვაროვან შედეგებთან დაკავშირებამ წარმოშვა შემდეგი კითხვა: რა მექანიზმების გამოყენებით ხდება ეროვნული გამოცდების შედეგად პროგრამაზე მიღებული სტუდენტის ენის ფლობის დონის განსაზღვრა პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებულ ინგლისური ენის სხვადასხვა დონის კურსზე მათი შემდგომი გადანაწილების მიზნით.

ინტერვიუს შედეგად მიღებული პასუხები არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას, როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დონის დადგენა. ხოლო გარკვეული ნაწილის განმარტებით, ეროვნული გამოცდების შედეგად პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დონის განსაზღვრა მოხდება ქართულ უნივერსიტეტში უკვე დამკვიდრებული პრაქტიკით, ამავე

უნივერსიტეტის ენის ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც ასახულია ინგლისური ენაში ეროვნული გამოცდის შედეგების შესაბამისობა ინგლისური ენის ფლობის ევროპული ჩარჩოს დონეებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამაზე მიღებული სტუდენტების დონის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, და კერძოდ, მოცემული პროგრამა ეყრდნობა ამავე უნივერსიტეტის ენის ცენტრის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს, რომლის საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ ამავე ენის ცენტრის მიერ მიღებული მრავალწლიანი გამოცდილება. არ მოიძებნა სხვა სანდო და რელევანტური ინსტრუმენტი, რის საშუალებითაც დაწესებულეა დაადგენს ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული შეფასების შესაბამისობას ენების ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით დადგენილ ენის ფლობის დონეებთან (იხ. ცხრილი N1, დოკუმენტიდან „ეროვნული გამოცდების ქულების მიხედვით პირველკურსელი სტუდენტების უცხო ენის შესაბამისი დონის ჯგუფებში ჩარიცხვა“).

ცხრილი N1.

#	უცხო ენის დონე, რომელზეც უნდა ჩაირიცხოს სტუდენტი	ეროვნული გამოცდების ქულა
1.	B2	75-80
2.	B1	61-74
3.	A2	34-60
4.	A1	0-33

ვფიქრობთ, ქულათა ასეთი გადანაწილება არარელევანტურია შემდეგი გარემოებების გამო:

- უნივერსიტეტი პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს თავაზობს ინგლისური ენის კურსებს მხოლოდ A2 დონიდან, ანუ, იმისთვის რომ ჩაირიცხონ A2 დონის კურსზე, მოცემული ცხრილის მიხედვით, მათ მიერ ეროვნულ გამოცდაზე მიღებული ქულების რაოდენობა არ უნდა იყოს 34 -ზე ნაკლები. ამავე დროს, უნივერსიტეტის მიერ მისაღები გამოცდების ანკეტაკითხვარში მოცემული პროგრამისათვის გაკეთებული განაცხადის მიხედვით, პროგრამაზე ჩარიცხვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინგლისურ ენაში არის 20 (ეს მაჩვენებელი საერთოა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამისათვის). აქედან გამომდინარე, აბიტურიენტი, რომელმაც ეროვნულ გამოცდაზე ინგლისურ ენაში დააგროვა 20 ქულა, ვერ დააკმაყოფილებს მოცემული პროგრამის წინაპირობას - ინგლისური ენის ფლობის A1 დონეს.

- ინგლისური ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით, უნივერსიტეტში დამკვიდრებული წესის (ინგლისური ენის გამოცდის შედეგების მიხედვით დაადგინონ სტუდენტის ენის ფლობის დონე) სრულიად საპირისპიროა ანკეტაკითხვარში მოცემული ის ფაქტიური გარემოებაც, რომ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა ერთ-ერთი შემდეგი უცხო ენებიდან (ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული). ანუ, ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდის ჩაბარება არ არის პროგრამაზე მიღების აუცილებელი წინაპირობა.

აქედან გამომდინარე, აბიტურიენტები, რომლებსაც არ ჩაუბარებიათ ინგლისური ენა, მაგრამ აირჩიეს მოცემული პროგრამა, ვერ შეძლებენ ინგლისური ენის A1 დონის ფლობის დადასტურებას ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, როგორც ეს მიღებული და დამკვიდრებულია უნივერსიტეტში.

ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე სცადა მიეღო ინფორმაცია, რა ალტერნატიულ მექანიზმს ითვალისწინებდა უნივერსიტეტი ენის ფლობის დონის დასადგენად ისეთ შემთხვევაში როცა სტუდენტს არ ჩაუბარებია ეროვნული გამოცდა ინგლისურ ენაში. გაირკვა, რომ მსგავს შემთხვევაში, უნივერსიტეტი ჩაატარებს დონის განმსაზღვრელ ტესტს, თუმცა, ასეთ შესაძლებლობაზე მათ ჯერ არ უფიქრიათ და შესაბამისი პროცედურაც დოკუმენტურად არაა გაწერილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ენის ფლობის დონის დადგენის მექანიზმის დეტალურად გაწერა (ყველა შესაძლო ალტერნატივის გათვალისწინებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ეროვნული გამოცდების ქულების მიხედვით პირველკურსელი სტუდენტების უცხო ენის შესაბამისი დონის ჯგუფებში ჩარიცხვა“;
- უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარი „ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის შესახებ“.

რეკომენდაციები:

- ზუსტად დაიგეგმოს და პროცედურულად გაიწეროს ენის ფლობის დონის განმსაზღვრელი მექანიზმი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს (კომენტარი და რეკომენდაციები წინაპირობებზე იხილეთ ამავე სტანდარტის 2.1 ქვესტანდარტში).

პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 5 წელი. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 300 ECTS კრედიტი. თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრულია 6 კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ოთხ მოდულს:

ა) ძირითადი სპეციალობების მოდული (150 კრედიტი):

- 42 კრედიტი: სწავლების ძირითადი სფეროს 6-კრედიტიანი 7 სავალდებულო სასწავლო კურსი;
- 60 კრედიტი: 6-კრედიტიანი 10 სავალდებულო სასწავლო კურსი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით: 30 კრედიტი - ქართული ენა; 30 კრედიტი - ქართული ლიტერატურის ისტორია;
- 36 კრედიტი: 6-კრედიტიანი 6 სავალდებულო საგანი ინგლისური ენის მიმართულებით;
- 12 კრედიტი: სწავლების ძირითადი სფეროების ორი არჩევითი საგანი.

ბ) თავისუფალი კომპონენტების მოდული (30 კრედიტი): სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფს ზოგად საკომუნიკაციო უნარებს და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას;

გ) მასწავლებლის მომზადების მოდული (60 კრედიტი), მათ შორის:

სავალდებულო - 48 კრედიტი; არჩევითი - 12 კრედიტი.

დ) სასწავლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული (60 კრედიტი).

უშუალოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობის მისაღებად განსაზღვრულია: სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების 42 კრედიტი + სპეციალობის 60 კრედიტი+ 12 კრედიტი არჩევითი საგნები + თავისუფალი კომპონენტი 30 კრედიტი. ამას ემატება პედაგოგის ბლოკიდან 12 კრედიტი /სწავლების მეთოდიკა და სასკოლო პრაქტიკა/; სულ - 156 კრედიტი.

ინგლისური ენის მასწავლებლის სპეციალობის მისაღებად განსაზღვრულია: სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნების 42 კრედიტი + სპეციალობის 36 კრედიტი + 12 კრედიტი არჩევითი საგნები + თავისუფალი კომპონენტი 30 კრედიტი. ამას ემატება პედაგოგის ბლოკიდან 12 კრედიტი სწავლების მეთოდიკა და სასკოლო პრაქტიკა. სულ - 132 კრედიტი.

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლის სპეციალობის მისაღმად განსაზღვრულია: სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნების 42 კრედიტი + სპეციალობის (ქართული ენა) 30 კრედიტი + 12 კრედიტი არჩევითი საგნები + თავისუფალი კომპონენტი 30 კრედიტი; ამას ემატება პედაგოგიკის ბლოკიდან 12 კრედიტი სწავლების მეთოდოლოგია და სასკოლო პრაქტიკა. სულ - 126 კრედიტი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად მოდულარული დაყოფისა, პროგრამის ქართულენოვანი სტრუქტურა საგრძნობლად ფარავს ინგლისური ენის სპეციალობის კომპონენტს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ინგლისური ენის სპეციალობის მიმართულებით პროგრამის მიერ დასახული მიზნების რეალისტურობას და მიღწევადობას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- პროგრამის სწავლების ენა ქართულია, და იგი გათვლილია ისეთი კონტიგენტისთვის, რომლისთვისაც ინგლისური ენა მეორე ენას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისური ენის სპეციალობის მოდულის ასათვისებლად მათ გაცილებით ბევრი დრო და დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, ვიდრე დანარჩენი 3 მოდულის ასათვისებლად, რომლებიც მშობლიურ ენაზე მინდინარეობს. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსებს კრედიტები უნდა მიენიჭოს მათ ასათვისებლად საჭირო დროის შესაბამისად, რაც ყველა კურსის შემთხვევაში (როგორც ქართული, ისე ინგლისური სპეციალობის) ერთნაირი ვერ იქნება.
- პროგრამას წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის ფლობის A1 კომპეტენცია და, ამავე დროს, იგი მიზნად ისახავს, პროგრამის დასასრულს სტუდენტი აიყვანოს C1 ენობრივი დონეზე, რისთვისაც ინგლისური ენის მიმართულებით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები, (8 საკონტაქტო საათი A2 დონეზე და 5-5 საკონტაქტო საათი B1-C1 დონეების ჩათვლით), არასაკმარისად მიგვაჩნია;
- ინგლისური ენა A2, ინგლისური ენა B1.1, ინგლისური ენა B1.2. ინგლისური ენა B2.1 და ინგლისური ენა B2.2 გაერთიანებულია თავისუფალი კომპონენტის მოდულებში, რაც პროგრამის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაციის და ისევ და ისევ მისი წინაპირობის გათვალისწინებით (ინგლისური ენის A1 დონე) აკნინებს მათ მნიშვნელობას მოცემული პროგრამისათვის.

არათანმინდევრობა შეიმჩნევა ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობებშიც. მაგალითად:

1. სავალდებულო სასწავლო კურსის - ქართული ენის სინტაქსი - წინაპირობად თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიასთან ერთად, აღნიშნულია ინგლისური ენის B1 კურსი. რას არაადეკვატურად მიგვაჩნია საგნის მიზნების, შედეგების და პროგრამის სწავლების ენის გათვალისწინებით.
2. სწავლების ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსის CAE (Cambridge Advanced English) შესწავლის წინაპირობაა C1 დონის ინგლისური ენის კურსი, როცა თავად CAE კურსის მიზნები და შედეგები ინგლისური ენის C1 დონეზე ფლობას ითვალისწინებს.
3. მედია, როგორც ენაში ასახული რეალობა - სწავლების ძირითადი სფეროს არჩევითი კურსი - წინაპირობის გარეშე. მიგვაჩნია, რომ ისეთი კურსის შესასწავლად და წარმატებით დასაძლევად, რომელიც მოიცავს ლინგვისტური ანალიზის განხორციელებას ინგლისურენოვან მედია ტექსტებზე, აუცილებელია, განისაზღვროს შესწავლის წინაპირობა ისეთი კურსებით,

როგორცაა ენათმეცნიერების შესავალი, ინგლისური ენის სტილისტიკა/ტექსტის ინტერპრეტაცია და ინგლისური ენის B1 დონის კურსი.

4. ინგლისური ენის ლექსიკოლოგია - სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი არ მოიცავს შესწავლის წინაპირობას. კურსის შინაარსის, გამოყენებული ლიტერატურის, მიზნების და შედეგების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მას აუცილებლად ესაჭიროება განესაზღვროს წინაპირობა: ენათმეცნიერების შესავალი; ინგლისური ენის B1 დონის კურსი.
5. ინგლისური ენის სტილისტიკა - სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსი არ მოიცავს წინაპირობას. კურსის შინაარსის, გამოყენებული ლიტერატურის, მიზნების და შედეგების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ მას აუცილებლად ესაჭიროება წინაპირობა: ენათმეცნიერების შესავალი; ინგლისური ენის B1 დონის კურსი.
6. ტექსტის ინტერპრეტაცია - სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ინგლისური ენის B1 დონის კურსი. კურსის შინაარსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ლინგვისტური ანალიზის განხორციელებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კურსს განესაზღვროს წინაპირობად ენათმეცნიერების შესავალი და სტილისტიკა ინგლისური ენის B1 დონის კურსთან ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის ინგლისური ენის მიმართულებით დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა, მოხდეს ინგლისური ენის მიმართულების გაძლიერება საკრედიტო და საკონტაქტო საათების შესაბამისი გადანაწილებით და ზემოთმოყვანილი კურსების წინაპირობების შესაბამისონაში მოყვანა შესასწავლი კურსის შინაარსთან, მიზნებთან და შედეგებთან.

წარმოდგენილი პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, პროგრამების კატალოგში, რითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მის საჯაროობას და ხელმოსაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა; სილაბუსები;
- ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამა მოიცავს ქართულის, როგორც მეორე ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და ინგლისური ენის სწავლების კომპეტენციებისათვის საჭირო საგნებს, თუმცა ინგლისური ენის სწავლებისათვის გამოყოფილი ნაწილი სრულად ვერ განაპირობებს პროგრამის მიზნების მიღწევადობას. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულება.
- ცალკეული კურსის/კურსების ხასიათისა და სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვროს საკონტაქტო საათებისა და კრედიტების რაოდენობა.
- მოხდეს სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა ყოველი შესასწავლი კურსის მიზნებთან, შინაარსთან და მისაღწევ შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

○ -

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/ კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა გვთავაზობს კურსების შემდეგნაირ გადანაწილებას:

სწავლების ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: ძირითადი სპეციალობ(ებ)ის ზოგადი საგნები:

1. ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები;
2. აკადემიური წერის უნარები ინგლისურ ენაზე;
3. ენათმეცნიერების შესავალი;
4. ქართული დამწერლობის ისტორია;
5. თანამედროვე ქართული ენის ნორმები და სტილისტიკა;
6. ციფრული ჰუმანიტარიის აქტუალური საკითხები;
7. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები.

ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება:

8. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია
9. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი
10. ქართული ენის ლექსიკოლოგია
11. ქართველური დიალექტოლოგია
12. ქართული ენის ისტორია
13. შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორია (IV-XI სს.)
14. შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურის ისტორია (XII-XVIII სს.)
15. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 1
16. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია 2

17. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი პრობლემები

ინგლისური ენის მიმართულება:

18. ინგლისური ენის კურსი C1.1
19. ინგლისური ენის კურსი C1.2
20. ინგლისური ენის გრამატიკის თეორია
21. ინგლისური ენის ლექსიკოლოგია
22. ინგლისური ენის სტილისტიკა
23. ტექსტის ინტერპეტაცია

სწავლების ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები:

24. ქართული ენის სტილისტიკის აქტუალური პრობლემები
25. ძველი ქართული საისტორიო და საეკლესიო მწერლობის ენა
26. მედია, როგორც ენაში ასახული რეალობა
27. ინგლისური ენის ისტორია
28. ქართველურ ენა-კილოთა შეპირისპირებითი ანალიზი
29. ქართველური ონომასტიკა
30. კომპიუტერული ლინგვისტიკის ძირითადი საკითხები
31. ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკა
32. ქართული ენის ლექსიკოგრაფია
33. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები
34. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიის საკითხები
35. ინგლისური ენის კურსი (CAE)
36. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების ტიპოლოგიური ანალიზი
37. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია (XIX-XX სს.)
38. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორია და ეტაპები (XIX საუკუნე)
39. რუსთველოლოგია
40. ილიასმცოდნეობა
41. ვაჟასმცოდნეობა
42. გალაკტიონოლოგია
43. ქართული სახისმეტყველება
44. ლექსმცოდნეობა
45. ქრისტიანობა და ქართული კულტურა
46. ქართული ზეპირსიტყვიერება
47. ქართული მწერლობა ევროპულ სალიტერატურო კრიტიკაში
48. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი) თავისუფალი კომპონენტის მოდულები (არჩევითი საგნები):
49. დემოკრატიული კულტურა და ადამიანის უფლებები
50. ინგლისური ენა A2 (Pre-Intermediate)
51. ინგლისური ენა B1.1 (Intermediate)
52. ინგლისური ენა B1.2 (Intermediate)
53. ინგლისური ენა B2.1

54. ინგლისური ენა B2.2

პედაგოგიკის მოდული 120 კრედიტი (სავალდებულო):

55. სწავლისა და განვითარების თეორიები

56. სწავლება და შეფასება

57. ზოგადი განათლების სისტემის სტრუქტურა და პოლიტიკა

58. აქტუალური ფსიქოლოგიური საკითხები მასწავლებლისათვის

59. ინტერკულტურული და ინკლუზიური განათლება

60. ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა

61. ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა

62. ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა მასწავლებლის მომზადების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები:

63. მასწავლებლის პროფესიული ეტიკა

64. ინგლისური ენის სწავლა-სწავლების თეორიები

65. ღირებულებითი პედაგოგიკა

66. უსაფრთხო სკოლის კულტურა

67. თანამედროვე ტენდენციები განათლების სფეროში

68. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში

69. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება

70. ქართული საბავშვო ლიტერატურა

71. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

სასწავლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევის მოდული (სავალდებულო):

72. ქართული ტერმინოლოგია (კვლევა და პრაქტიკა)

73. კვლევის თანამედროვე მეთოდები

74. აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები

75. პრაქტიკული კვლევა

76. სასკოლო პრაქტიკა-ქართული ენა და ლიტერატურა

77. სასკოლო პრაქტიკა-ინგლისური ენა

წარმოდგენილი კურსების სილაბუსების გაცნობის შედეგად დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი შეუსაბამობები:

1. კურსების მიზნების და შედეგების დუბლირება:

- სავალდებულო სასწავლო კურსი „ინგლისური ენა C1“ და „ინგლისური ენის კურსი (CAE)“ იდენტურია მიზნებით და მისაღწევი შედეგებით;

- სასწავლო კურსების: პრაქტიკული კვლევა და კვლევის თანამედროვე მეთოდები იდენტურია დასახული მიზნების, მისაღწევი შედეგების და პრაქტიკის კომპონენტის თვალსაზრისით.

2. კურსის შინაარსი არ შეესაბამება ამ კურსის მიერ დასახულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს:

- არჩევითი სასწავლო კურსი „მედია, როგორც ენაში ასახული რეალობა“ ვერ ფარავს დასახულ მიზნებს და შედეგებს. კურსის სავადებულო ლიტერატურის (Handbook for Independent Journalism by Deborah Potter. Washington: U.S. Department of State, Bureau of International Information Programs, 2006) შინაარსი არ შეესაბამება კურსის სწავლების შედეგებს. იგი

უფრო ჟურნალისტური უნარების და კომპეტენციების, ჟურნალისტური ეთიკის საკითხების შესწავლას და განვითარებას ემსახურება, ვიდრე ენობრივი კომპეტენციისას, მაშინ როცა თავად კურსის აღწერილობა და შინაარსი მოიცავს და მიზნად ისახავს, გამოუმუშაოს სტუდენტს მედია ტექსტების ლინგვისტური ანალიზის უნარი.

3. კურსის სწავლა სწავლების მეთოდი არ შეესაბამება კურსის შინაარსს.

- სწავლების ძირითად სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი - „აკადემიური წერის უნარები ინგლისურ ენაზე“ გვთავაზობს საკონტაქტო საათების შემდეგნაირ დაყოფას: სემინარი და ლაბორატორიული სამუშაო. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სწავლა სწავლების აღნიშნული მეთოდი - ლაბორატორიული სამუშაო არ შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

4. კურსის შეფასების კრიტერიუმები არ შეესაბამება მოცემული კურსის შინაარსს, ფორმატს და მისაღწევ შედეგებს.

- კურსის „აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე“ შუალედური შეფასების კრიტერიუმებში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მსჯელობს არგუმენტირებულად. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა; ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით“. კურსის შინაარსის, მიზნების, შედეგების და სწავლების ენის გათვალისწინებით, ასეთი შეფასების კრიტერიუმი მოცემული კურსისათვის შეუსაბამოა.

- ინგლისური მიმართულების სასწავლო კურსის სილაბუსები არ ასახავს, როგორ ფასდება კურსის თოთოეული სწავლის შედეგის მიღწევა.

5. ინგლისური მიმართულების რამდენიმე სასწავლო კურსის სავალდებულო სახელმძღვანელო მოძველებულია იმისათვის, რომ მან უზრუნველყოს მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან და კვლევის შედეგებთან გაცნობა, მაგალითად, სტილისტიკის კურსის სავალდებულო სახელმძღვანელოები: 1. Widdowson, H.G. Practical Stylistics. OUP. 1992. 2. Galperin I.R., Stylistics. 1981.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამავე კურსის ძირითად ლიტერატურაში ვპოულობთ სახელმძღვანელოს დასახელებას: „სალექციო კურსი („რიდერი“), ყველა სხვა მონაცემის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა აღნიშნული კურსის ციფრული რიდერი, რომელიც აღმოჩნდა სასწავლო მასალა ყველა საჭირო მონაცემის მითითების გარეშე. იგი არ მოიცავს არანაირ ინფორმაციას რიდერში შემავალი ავტორების და სახელმძღვანელოების შესახებ, ასევე უცნობია, ვინ არის რიდერის ავტორი და რამდენადაა დაცული რიდერის კომპილაციის წესი (საავტორი უფლების დაცვის თვალსაზრისით, ერთი კურსის ფაგლებში სხვადასხვა სახელმძღვანელოს გაერთიანების წილობრივ მაჩვენებელთან დაკავშირებით).

ასევე მოძველებულია კურსის „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“ ლიტერატურა: 1. Antrushina G.B., Afanasyeva O.V., Morozova N.N. – English Lexicology, M., 1999; 2. Ginzburg R., A Course in Modern English Lexicology, 1966.

სილაბუსებთან გაცნობის შედეგად დგინდება, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 6 სფეროს მიხედვით - ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. აღნიშნული მიდგომა მოძველებულია. მოქმედი კანონის თანახმად, სწავლის შედეგები ყალიბდება სამი სფეროს - ცოდნის, უნარისა და ავტონომიურობის მიხედვით. გარდა ამისა, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ვრცელი და დეტალიზებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა; სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- მოხდეს სასწავლო კურსების ისე შერჩევა, რომ თავიდან იქნას აცილებული მიზნებისა და მისაღწევი შედეგების დუბლირება.
- მოხდეს კურსების შინაარსის მიზნებისა და შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
- სწორად იქნას განსაზღვრული თითოეული კურსისათვის ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები.
- მოხდეს კურსის სწავლა-სწავლების მეთოდების კურსის შინაარსთან, მიზნებსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- განახლებული იქნას სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის.
- საავტორი უფლების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით, რიდერის გამოყენების შემთხვევაში, მოხდეს რიდერის ავტორის, ისევე როგორც მასში შემავალი სახელმძღვანელოების და ავტორების მითითება.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში აისახოს, რა ფორმით ფასდება კონკრეტული სასწავლო კურსის თითოეული შედეგი.
- მოხდეს სასწავლო კურსის სილაბუსების სწავლის შედეგების წარმოდგენა 3 სფეროს მიხედვით - ცოდნა, უნარი, ავტონომიურობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართულობას. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კონფერენციებს, საველე ექსპედიციების ჩატარებას და სხვა აქტივობებს, რომელთა მიზანია სტუდენტებისათვის კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება. სკოლის ბაზაზე გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, რომელშიც სტუდენტები ბეჭდავენ პუბლიკაციებს.

სწავლების ბოლო ორი სემესტრის განმავლობაში სტუდენტებმა უნდა გაიარონ სასწავლო კურსები: „სასკოლო პრაქტიკა - ქართული ენა და ლიტერატურა“, „სასკოლო პრაქტიკა - ინგლისური ენა“ და „სასკოლო პრაქტიკა - ქართული, როგორც მეორე ენა“, რომლის ფარგლებში სტუდენტებს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალება ეძლევათ კერძო და საჯარო სკოლებში.

სასკოლო პრაქტიკის შედეგად სტუდენტს შეეძლება სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არჩეული საგნის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა;
- ვებგვერდი;
- სტუდენტური კონფერენციების პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისობას, პრაქტიკული და ტრანსფერტული უნარების განვითარებას და ჩამოყალიბებას, რასაც ადასტურებს მისი შინაარსი და სტრუქტურა. პროგრამაში სწავლების შედეგების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სალექციო და სასემინარო მუშაობის მეთოდები. სწავლების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა აქტივობები, როგორებიც არის: დისკუსია-დებატები, ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება /სწავლების მესამე საფეხურის მიზნების გათვალისწინებით, გონებრივი იერიში, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ელექტრონული სწავლება და სხვ.

პროგრამის კურიკულუმში პროფესიულ-პედაგოგიური კომპეტენციების განსამტკიცებლად, პრაქტიკული ნაწილში არის პედაგოგიური პრაქტიკის ერთი ფორმატი: პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსები სამი მიაძრთულებით - სასკოლო პრაქტიკა - ქართული ენა და ლიტერატურა, სასკოლო პრაქტიკა - ინგლისური ენა, სასკოლო პრაქტიკა - ქართული, როგორც მეორე ენა. სტუდენტი პრაქტიკის დამოუკიდებელ კურსებს გადის მე-9 და მე-10 სემესტრებში. ის აჯამებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსების გავლის პერიოდში. ასეთი პედაგოგიური პრაქტიკით, სტუდენტი ერთვება დამოუკიდებელ პედაგოგიურ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს სტუდენტში ტრანსფერული და პროფესიონალური კომპეტენტურობის ფორმირებას, სწავლების, განათლებისა და სოციალურ სფეროებში, პროფესიული ამოცანების წარმატებულად გადაჭრის კულტურის ჩამოყალიბებას. ხელს უწყობს თეორიული და მეთოდური ცოდნის გაღრმავება-გამყარებას.

სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების ბაზას წარმოადგენს თბილისის საჯარო და კერძო სკოლები. დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს თბილისის 34 საჯარო და კერძო სკოლასთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული სკოლების ვალდებულებები, მათ შორის, რა რაოდენობის სტუდენტების მიღება შეუძლია სკოლას პრაქტიკისათვის.

მნიშვნელოვანია, შედგეს სკოლაში პრაქტიკის ჩატარების შეთანხმების ფორმა, სადაც მითითებული იქნება სტუდენტების, ის კონკრეტული, რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს პარტნიორი სკოლა, გაიწერება ვალდებულებები და პასუხისმგებლობები პრაქტიკის ადგილზე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლის და აგრეთვე დაწესებულების მხრიდან, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიწეროს პრაქტიკის კონკრეტული ფორმატი, ღონისძიებები, აქტივობები და ა.შ., რომელიც ესაჭიროება მას, ასევე ამ დოკუმენტში იყოს ასახული ერთობლივი პრაქტიკის შეფასების ურთიერთშეთანხმებული ინსტრუმენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასება;
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია, შემუშავდეს სკოლებთან პრაქტიკის განხორციელების შეთანხმების ფორმა, სადაც დეტალურად გაიწირება პრაქტიკის პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებები, სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ადგილზე, სტუდენტთა პარტნიორ სკოლებში გადანაწილების პრინციპები და სხვ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასება არის სამართლიანი და შეესაბამება საუნივერსიტეტო რეგულაციებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.</p> <p>სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმები: პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, წერილი ფორმით. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები.</p> <p>შეფასების პროცედურის გამჭვირვალობისა და სტუდენტის ინფორმირებულობის, ასევე, გამოცდების შედეგების გადამოწმებისა და საგამოცდო პროცესის შედეგების ანალიზის მიზნით ქართულ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ელექტრონული ბაზა, სადაც უმოკლეს დროში აისახება სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება.</p> <p>სტუდენტთა ელექტრონულ ბაზაში, UMS-ში, ყველა საგანს აქვს თავისი ელექტრონული სილაბუსი, რომელზე წვდომაც სტუდენტებისათვის დაშვებულია. სტუდენტებს აქვთ ამომწურავი ინფორმაცია საგნის ფარგლებში ცალკეული კომპონენტების შეფასების მიღების თაობაზე.</p> <p>უნივერსიტეტში შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. დადებითი შეფასებებია:</p> <p>(A) ფრიადი – 91-100 ქულა;</p>

- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.

შენიშვნა: დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობას.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფრომდება შეფასება F - 0 ქულა.

დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-19 კალენდარული კვირების განმავლობაში; ამასთან, დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.

შუალედური შეფასება - 60 ქულა, რომელიც სასწავლო კურსების საჭიროების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარად განაწილდეს.

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიიღოს არანაკლებ 21 ქულა.

საგამოცდო ცენტრის და უნივერსიტეტში შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

უნივერსიტეტში მოქმედებს “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”, რომლის მიხედვითაც სტუდენტს განცხადების საფუძველზე უფლება აქვს შედეგის გაგებიდან სამი დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება (როგორც შუალედურ გამოცდაზე ასევე დასკვნით გამოცდაზე). პროცედურის მიხედვით, განცხადება იწერება რექტორის სახელზე, რექტორს ბრძანების მიხედვით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც აფასავს გასაჩივრებულ ნაწერს. კომისიაში არ შედის საგნის ლექტორი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში არსებული სტუდენტის ერთიანი შეფასების სისტემით; ○ საუნივერსიტეტო ელექტორნული ბაზა - www.ums.sangu.edu.ge ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: <ul style="list-style-type: none"> ○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <ul style="list-style-type: none"> ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - უნივერსიტეტი) ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი მეტწილად შესაბამისობასია მოთხოვნებთან.

ინტერვიუებში მონაწილეობდნენ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა) შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა, შესაბამისად ინტერვიუები წარმართა ზოგადად უნივერსიტეტში არსებული გარემოს შეფასების მიზნით.

სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის მხირდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებიან, სადაც მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის მართვის შესახებ, ასევე ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სერვისების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით: უნივერსიტეტის ვებგვერდი, ელექტრონული ბაზები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტში არსებული სერვისებითა და მომსახურებით დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათ, ინფორმაციის მიწოდებისა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კუთხით, არანაირი პრობლემა არ აქვთ, ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს ონლაინ პლატფორმა UMS.SANGU.EDU.GE, რომლის საშუალებითაც მათ აქვთ წვდომა სასწავლო კურსების სილაბუსებსა და ცხრილზე, ასევე, ამ პლატფორმის მეშვეობით ეცნობიან სიახლეებს, სემესტრის დასაწყისიდან დასრულებამდე მათ აქვთ საშუალება თვალი ადევნონ თავიანთ აკადემიურ მოსწრებას. სტუდენტებმა განმარტეს, რომ ზემოაღნიშნულ ონლაინ პლატფორმას დაემატა ე.წ „გადაბარების“ ფუნქციონალი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მარტივად და სწრაფად, განცხადების დაწერისა და სხვა ფორმალური პროცედურების გავლის გარეშე, გადააბარონ შუალედური თუ ფინალური გამოცდა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მათ აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ კონფრენციებსა და სტუდენტურ პროექტებში, თუმცა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საშუალება არ ეძლევათ. პროგრამის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით, უსდ-მ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

<p>კურსდამთავრებულები და სტუდენტებიც ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი გაძლიერდება ინტერნაციონალიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.</p> <p>ასევე, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა სურვილია, სწავლების პროცესში მოხდეს სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის გაძლიერება სტუდენტის მომავალი საქიანობის პროფილის მიხედვით.</p> <p>ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. თუმცა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ასევე აღნიშნავენ, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები კიდევ არსებობს და ძირითადად ეს ეხება სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე კურსდამთავრებულთან მჭიდრო კონტაქტს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გამოკითხვის შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი; ○ უსდ-ის სასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს ღონისძიებები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● მოხდეს სტუდენტების უზრუნველყოფა გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებით მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სასურველია გაძლიერდეს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ -
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უნივერსიტეტში ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი.</p>

ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებმა, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის კვალიფიციური შესაბამის სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული პერიოდულობით ხვდებიან სტუდენტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას ნაშრომის თემატიკაზე.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ნაშრომის არჩევამდე ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრა, სადაც გააცნეს ნაშრომზე მუშაობის ძირითადი საკითხები.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში იყვნენ, არ იცნობდნენ ციტირების რომელ წესსა და აკადემიური წერის რომელ სტილს იყენებდნენ ნაშრომის შესრულებისას. შესაბამისად, ამ კუთხით ინფორმაციის მიწოდების გაძლიერებაა საჭირო.

აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან პრაქტიკის კვლევის დიზაინთან და შესაბამის მოთხოვნებთან დაკავშირებულ კითხვებზე (რაც პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნაა) არაერთგვაროვანი პასუხები მივიღეთ, რაც ართულებს იმის დადასტურებას, რომ სამაგისტრო ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელები ფლობენ პრაქტიკის კვლევის ჩატარებისთვის შესაბამის ცოდნას და გამოცდილებას. პრაქტიკის კვლევის სპეციფიკასთან დაკავშირებულ კითხვებზე და მის კავშირზე სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებთან მხოლოდ პრაქტიკის კვლევის სასწავლო კურსის ავტორისგან მივიღეთ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გამოკითხვის შედეგები;
- ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაში ჩართული პერსონალი, რომელთა სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად შერჩეული სამაგისტრო ნაშრომების თემატიკას, ფლობდეს სათანადო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას პრაქტიკის კვლევის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის წერისა და გაფორმების წესების შესახებ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ -
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი აფილირებული პროფესორი, ორი აფილირებული ასოცირებული პროფესორი ერთი ასისტენტი. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა), რომლებიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უნივერსიტეტში უმნიშვნელოა. პერსონალის უმრავლესობას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. მათი დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია ინგლისური ენის და ქართული ენის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში, რაც თავისთავად პოზიტიურ ფაქტორს წარმოადენს, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის არსებული თანაფარდობა 5/38, გარკვეულწილად ეჭვქვეშ აყენებს პროგრამის მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დაბალანსდეს მასში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა.

პროგრამას გააჩნია აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას, შემდეგი პროცენტული შეფარდებით 70/30. სასწავლო მუშაობის და სამეცნიერო აქტივობების ტიპები დარეგულირებულია საუნივერსიტეტი შიდა დოკუმენტით, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის კანონმდებლობასთან.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა პერსონალის დატვირთვით ყველა სხვა უსდ-ში, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ. მოწოდებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალის დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში არ წარმოადგენს მოცემული პროგრამის განხორციელების ხელისშემშლელ ფაქტორს.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა, რამდენად ითვალისწინებს პროგრამა მისი განმახორციელებელი პერსონალის ჩართვას სტუდენტთა კონსულტირების პროცესში. მოწოდებული დოკუმენტაციის (სილაბუსები, აკადემიური დატვირთვა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და სხვ.) საფუძველზე, ისევე როგორც ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კონსულტაციები ხშირი და დამკვიდრებული პრაქტიკაა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ამას არაფორმალური ხასიათი აქვს. განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ პერიოდში სტუდენტები ხშირად იღებენ ონლაინ კონსულტაციებს წინასწარი დაგეგმვის გარეშე ციფრული კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით, რაც თავისთავად პოზიტიურ ფაქტადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ არა შესაძლებლობა იმისა, რომ კონსულტაციების დადგენილი განრიგის არარსებობამ შეიძლება გარკვეული დაბრკოლებები შექმნას სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვის და რეალიზაციის თვალსაზრისით.

მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამას ხელმძღვანელობენ 2 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 1 ფიზიკის დოქტორი და 1 მოწვეული სპეციალისტი - ფილოლოგიის დარგში (ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მან დაიკავა აკადემიური თანამდებობა და გახდა ქართული უნივერსიტეტის პერსონალი). პროგრამის პროფილიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელია ფილოლოგიის დარგის ხელმძღვანელების როლი პროგრამის შემუშავება-განვითარებაში. კითხვები წარმოშვა ფიზიკის დოქტორის წოდების მფლობელის წარმოდგენამ სრულიად განსხვავებული პროფილის პროგრამის ხელმძღვანელის რანგში. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, მისი ხელმძღვანელობა განპირობებული იყო ამ პიროვნების დიდი გამოცდილებით პედაგოგიკის დარგში, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს ვერ იქნება საკმარისი არგუმენტი მისი ამ პოზიციაზე წარმოდგენისათვის, ვინაიდან:

- უპირველეს ყოვლისა, ეს ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა”, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ველში ვკითხულობთ: [პროგრამის ხელმძღვანელს] ...უნდა გააჩნდეს შესაბამისი დარგის კვალიფიკაცია და სწავლებისა და კვლევის გამოცდილება”.
- რაც შეეხება გამოცდილებას პედაგოგიკის თვალსაზრისით, ფიზიკის სწავლისა და სწავლების მეთოდები სრულიად განსხვავდება მშობლიური ენის, და მითუმეტეს, უცხო ენის სწავლების მეთოდისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამუშაოს აღწერილობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- საკონკურსო მასალები;
- გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- ი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა დაბალანსდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი თანაფარდობა.
- პროგრამის ხელმძღვანელი შეირჩეს დარგის და მიმართულების შესაბამისი განათლების და კვალიფიკაციის მიხედვით, როგორც ამას ითვალისწინებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რეგულაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სასურველია, თითოეული კურსისთვის განისაზღვროს საკონსულტაციო საათების დრო და კონსულტაციები განხორციელდეს დადგენილი განრიგის მიხედვით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ○ -
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია ადმინისტრაციული, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა. განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობები, კრიტერიუმები და პროცედურები, დადგენილია შეფასების განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტები და დარეგულირებულია შეფასების პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.</p> <p>პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების დოკუმენტი მოიცავს როგორც მათი სასწავლო, ისე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. პერსონალის შეფასების პროცესში სამომავლოდ გამოიყენება თვითშეფასების ფორმები. ამ სახით აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ასევე უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო კურსების გამოკითხვების ფარგლებში სტუდენტთა შეფასებით. შესაბამისი კითხვარები ასევე ითვალისწინებს განმახორციელებლის შეფასებას, გარდა აღნიშნულისა, რეგულარულად ხორციელდება სასწავლო კურსების ჩატარების აღრიცხვა.</p> <p>დაინტერესებულ პირებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი იცნობს ამ შეფასების ფორმებს და კრიტერიუმებს, თუმცა, შეფასების შედეგებზე რაიმე რეაგირების, წახალისების ან/და დაწინაურების ფაქტს ვერ იხსენებს.</p> <p>უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდე-</p>

ბა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის რეგულარული სახე აქვს სამეცნიერო კონფერენციებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსებას და კონფერენციის მასალების დაბეჭდვას.

სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში მართლაც ეწყობა კონფერენციები, ონლაინ მასტერკლასები და ფორუმები, თუმცა, მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ისევე როგორც ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ასევე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო აქტივობების ნუსხაში ჭარბობს ქართული ფილოლოგიის და ისტორიის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მოცემული პროგრამის პროფილიდან გამომდინარე, უნდა გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები. რაც, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალი, საკუთარი კვლევითი ინტერესების შესაბამისად, აწარმოებს კვლევებს. ისინი ასევე ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, რაც დასტურდება მოწოდებული პირადი საქმეებით, CV-ებით და სამეცნიერო აქტივობებით. ინტერვიუების განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი რამდენჯერმე დაინტერესდა რამდენად მონაწილეობს უნივერსიტეტი პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებაში. გაირკვა, რომ რაიმე საერთაშორისო აქტივობის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი არ ქონია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
- კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პრაქტიკაში განხორციელდეს პერსონალის შეფასება და წახალისება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შესაბამისი წესის მიხედვით.
- გაძლიერდეს ინგლისური ენის მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული სამეცნიერო აქტივობები. რაც, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
- დაინერგოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მატერიალ-ტექნიკური ბაზის ვირტუალური დათვალიერების საფუძველზე, ისევე როგორც ინტერვიუს დროს მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად:

- უნივერსიტეტის განკარგულებაშია 2 სასწავლო კორპუსი. სასწავლო კორპუსები აღჭურვილია: მაღალი ხარისხის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- ორივე კორპუსი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის; ორივე კორპუსს ემსახურება ლიფტი;
- სასწავლო კორპუსები აღჭურვილია გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, საევაკუაციო გეგმებით, თვალსაჩინოებებით, ცეცხლმაქრებითა და შუქ-ხმოვანი სასიგნალო სისტემებით;
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე საგამოცდო დარბაზი, რომლებიც აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურით და ელექტრონული აღრიცხვის სისტემით;
- სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადოდ, მათ შორის, თანამედროვე ტექნიკით (პროექტორი, პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები);
- სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს;
- უნივერსიტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც არის საერთაშორისო კონსორციუმის ELFE -ის წევრი. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე. უნივერსიტეტს ასევე აქვს წვდომა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წინგნად ფონდზეც.
- უცხო ენების სწავლებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები ტექნიკურად აღჭურვილია აუდიო ფაილების გამშვები აპარატურით;
- სასწავლო პროგრამის მომსახურე ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური, ინტერნეტის ქსელში ჩართული პერსონალური კომპიუტერებით, გააჩნიათ თავისუფალი წვდომა პრინტერებთან და სხვა სახის ტექნიკურ მოწყობილობებთან, რომელიც საჭიროა პროგრამის მომსახურებისათვის;

- დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემა;
- აკადემიურ პერსონალს გააჩნია სამუშაო სივრცე და ასევე თავისუფალი წვდომა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან;
- სასწავლო კორპუსში და მიმდებარე ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა უსადენო ინტერნეტთან (Wi-Fi).
- სასწავლო აუდიტორიებში ყველა პერსონალური კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით. მათ შორის, სრულად ლიცენზირებულია მაიკროსოფტის ოპერაციული სისტემები და საოფისე პაკეტი.
- პროგრამა უზრუნველყოფილია ხარისხიანი ონლაინ სწავლებისთვის საჭირო G Suite ინსტრუმენტით.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი და კვების ობიექტი (კაფეტერია);
- კეთილმოწყობილია სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორია, გაშენებულია გამწვანების ზოლები, დარგულია მარადმწვანე და დეკორატიული ხე-მცენარეები, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დასასვენებლად ეზოში შექმნილია სასიამოვნო და მყუდრო გარემო;
- სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.
- საუნივერსიტეტო მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლისა და კვლევის შეუფერხებელ წარმოებას.

ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და საქმისადმი დიდი ენთუზიაზმით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ინტერვიუს შედეგები;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

- -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ ქართულ უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის ბიუჯეტიც. უშუალოდ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ცალკე ბიუჯეტი არ აქვს, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ თავდაპირველად მოწოდებული დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის უნივერსიტეტის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე. ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ბევრად უფრო ზუსტი ხედვა და გეგმა აქვს შემუშავებული პროგრამის საჭიროებების ფინანსურად უზრუნველსაყოფად. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა დამატებითი დოკუმენტაციით, რომლის ხელმისაწვდომობა, ასევე, ინტერვიუს განმარტებაში გამოიკვეთა. დამატებით მოწოდებული დოკუმენტაცია მოიცავს 2021 წლის ბიუჯეტის განმარტებით ბარათს და დეტალურ ხარჯებს, რამაც უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა ბიუჯეტით დაგეგმილი და გათვალისწინებული აქტივობების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, გამოიკვეთა უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროები 2021 წლისთვის:

1. საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია გრანტის სახით.
2. სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური სამივე აკადემიურ საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამა).

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბევრად უფრო ინფორმაციულია სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების კლასიფიკაციის თვალსაზრისით, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პროგრამის განხორციელებისათვის. მაგალითად, დამატებით მოწოდებული დოკუმენტაცია ითვალისწინებს ისეთ მუხლებს, როგორცაა: ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ხარჯები; სტუდენტური კონფერენციის ხარჯები, კვლევით გრანტებზე გამოყოფილი ხარჯები, ახალგაზრდა მკვლევარების დაფინანსება, სტიპენდიები, მივლინება, ერთჯერადი ჰონორარი და პერსონალის წახალისების ხარჯები, თუმცა, ნათლად არ იკვეთება მაგალითად, პროგრამის ინტერნაციონალიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამაში გათვალისწინებული მიზნების რეალისტურობა და მიღწევადობა ფინანსური თვალსაზრისით. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ვინაიდან უნივერსიტეტი ახორციელებს ბიუჯეტის სკოლების დონეზე დაგეგმვას, საჭიროა, მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ბიუჯეტის უფრო დეტალური გაწერა, სადაც გათვალისწინებული იქნება მოცემული პროგ-

რამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი მუხლი და დანახარჯი.

თუმცა, აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ სასურველია, უნივერსიტეტმა დაეგეგმოს კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მისი შემდგომი წარმატებული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2021 წლის ბიუჯეტი;
- 2021 წლის განმარტებითი ბარათი;
- დეტალური ხარჯი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მოხდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ბიუჯეტის უფრო დეტალიზებული დაგეგმვა მოცემული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი მუხლის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კონკრეტული პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რაც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება პროგრამის წარმატებული იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესი და პროცედურები ძირითადად რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი შემდეგი დოკუმენტებით:

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ - მოიცავს ისეთი საკითხებს, როგორცაა: ა) პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესების ზოგადი მიმოხილვა - ადგენს პროგრამის შემუშავების სახელმძღვანელო წესებს და სარეკომენდაციო დოკუმენტებს, პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს და ამ პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობას, პროგრამის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობებს, სამიზნე ნიშნულებს („სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების განსაზღვრის წესით“ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში); პროგრამის ინიცირების საფუძვლებს (მათ შორის, უნივერსიტეტის პრიორიტეტი, შრომის ბაზრის ანალიზი, დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი და/ან სხვ.), პროგრამის დამტკიცების პროცესს (მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სკოლის საბჭოსთვის დასკვნის წარდგენა, სკოლის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მიღების შემდეგ პროგრამის დამტკიცება რექტორის მიერ), პროგრამის გაუქმების პროცედურას და სხვ.; ბ) პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული წესები - ადგენენ მოთხოვნებს პროგრამის კურიკულუმისა და სილაბუსისადმი და არეგულირებენ პროგრამასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს (მათ შორის, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა, სწავლის ხანგრძლივობა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, პროგრამაზე დაშვების პირობები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სტუდენტთა შეფასების სისტემა და წესები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვ.); გ) პროგრამის განვითარების მექანიზმები - ადგენს პროგრამაში ცვლილებების საფუძვლებს, ცვლილებების განხორციელების შესაძლო პერიოდებს, შეტანის წესებს და სხვ.

- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ - აღწერს პროგრამის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას და საგანმანათლებლო პროგრამის შიდა და გარე შეფასების თავისებურებებს. მითითებული დოკუმენტის

თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ფასდება შემდეგ კრიტერიუმებთან შესაბამისობა: ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; გ) სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა; დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. შეფასების პროცესში გამოიყენება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით“ გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები და უნივერსიტეტში დადგენილი სამიზნე ნიშნულები. მითითებული დოკუმენტის თანახმად, თითოეულ კრიტერიუმთან შესაბამისობის ანალიზისას მხედველობაში მიიღება: ა) პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები (გულისხმობს შედეგების ყოველწლიური ანალიზს); ბ) სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (მათ შორის: სასწავლო კურსების შეფასების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს ჩატარებული გამოკითხვები და სასწავლო წლის დასასრულს მათი ანალიზი; სტუდენტთა კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით 2 წელიწადში ერთხელ ჩატარებული გამოკითხვები); გ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (მოიაზრება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ - მათი კმაყოფილების ხარისხის დადგენის, რეკომენდაციების მიღების და კარიერული განვითარების შესწავლის მიზნით, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ - მათი კარიერული განვითარების შესწავლის და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის რეკომენდაციების მიღების მიზნით); დ) დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები (გამოკითხვა ტარდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ თითოეული პროგრამის მიზნებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში); ე) ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები, კვლევები და სტანდარტის კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებული თემატური დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ზ) უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის შედეგები (გამოკითხვების აუცილებლობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახური).

მითითებული დოკუმენტის თანახმად, თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების კომპეტენციების შესაბამისად პასუხისმგებლობის სფეროების გადანაწილებას და შესაბამისი მიმართულებით სამუშაოს შესრულებას. თვითშეფასების შედეგები აისახება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ფორმაში. თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზი და გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი გეგმების დასახვა. აკრედიტებული პროგრამის პერიოდული შემოწმების/ხელახალი აკრედიტაციის მიზნით ჯამდება და ანალიზდება პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგები, ახალი პროგრამის შემთხვევაში კი აკრედიტაციის მიზნით თვითშეფასების პროცესში გამოიყენება წინასწარ შეგროვებული და გაანალიზებული ინფორმაცია.

- „ა(ა)პ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“ - აღწერს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიას, საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის განსაზღვრის წესს, სწავლის

შედეგების შეფასების მიზნით კომისიის ფორმირების და მუშაობის წესს, შეფასების შედეგების გამოყენების საკითხებს და სხვ. მითითებულ დოკუმენტს ერთვის შემდეგი ფორმები: დანართი #01 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (თითოეული სწავლის შედეგის შემთხვევაში მისათითებელია პროგრამის კომპონენტ(ე)ბი, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას; შეფასების ფორმა; შეფასების მეთოდი და მტკიცებულება; საანგარიშო პერიოდი; სამიზნე ნიშნული (მიღწევის მაჩვენებელი) და სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა); დანართი #02 - საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის №___ ბრძანებით შექმნილი კომისიის ანგარიში (მისათითებელია კომისიის შემადგენლობა, სწავლის შედეგი, სამუშაო პროცესის აღწერა; დასკვნა და რეკომენდაციები, ასევე, კომისიის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგის შეფასების კრიტერიუმები).

▪ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა: სწავლების ენა, პროგრამების შემუშავება/დამტკიცება/ცვლილებების შეტანა, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, პროგრამის გაუქმება, სტუდენტის სტატუსი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), მობილობა, განათლების აღიარება, კვალიფიკაციის მინიჭება და სხვ.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. პროგრამის შემუშავების მნიშვნელოვან ასპექტად დაწესებულება მიიჩნევს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს, რის გამო ვიზიტის დროს დაწესებულებას ეთხოვა დამატებით წარედგინა პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლის (გამოკითხვების/სხვ.) შედეგების ამსახველი ინფორმაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა „ფილოლოგიის“ სფეროსთვის 5 რესპოდენტის და „ქართული ფილოლოგიის (ქართული ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია...)“ სფეროსთვის 8 რესპოდენტის გამოკითხვების შევსებული ანკეტები, რაც ვერ იქნებოდა გამოყენებული რამდენიმე გარემოების გამო: აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი მასწავლებლის მომზადების პროგრამის სპეციფიკა განსხვავდება ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის პროგრამებისაგან. ასევე, არ დგინდება არის თუ არა დღესათვის აქტუალური ამ გამოკითხვების შედეგები (ანკეტები არ არის დათარიღებული, გარდა 2 ანკეტისა: ერთში მითითებულია 2018 ივნისი, მეორეში - 2019 მარტი). გასაუბრების დროს დამსაქმებელმა აღნიშნეს, რომ იცნობენ პროგრამას, თუმცა ვერ განმარტეს რა რეკომენდაციები ჰქონდათ და იყო თუ არა მათი მოსაზრებები გათვალისწინებული;
2. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის შემუშავების პროცესში „განხორციელდა საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილზე“. მეტი სიცხადისთვის, დაწესებულებას ეთხოვა დამატებით წარედგინა შესაბამისი ინფორმაცია და განემარტა ექსპერტებისათვის, რას მოიაზრებდა „საერთაშორისო პრაქტიკის“ შესწავლაში, რა იყო გათვალისწინებული და ა.შ. მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილი არ იყო და ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა ეს საკითხი ვერ განმარტეს. ასევე, სამუშაო ჯგუფის საქმიანობის და თვითშეფასების პროცესის ამსახველი ან ამ პროცესთან დაკავ-

შირეული დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის არარსებობის გამო შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად შესრულებულია თავად დაწესებულების მიერ დადგენილი წესები, რა ინფორმაცია იყო შესწავლილი და გამოყენებული თვითშეფასების პროცესში, როგორი იყო ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება, რა დასკვნა წარუდგინა პროგრამის ხელმძღვანელმა სკოლის საბჭოს და ა.შ.

3. კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია უნივერსიტეტის მოქმედ დოკუმენტში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ:

▪ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა შეიცვალოს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში“ მითითებული, არსებითად შეუსაბამო პირობები:

1) „მისანიჭებელი კვალიფიკაცია გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებთან“ (იხ. „მისანიჭებელი კვალიფიკაცია“, გვ. 5);

2) „უმაღლესი განათლების ... სწავლის შედეგები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები“ (იხ. „პროგრამის სწავლის შედეგები“, გვ. 8-9);

3) „პირველი საფეხურის პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით; მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით“ (იხ. „მისანიჭებელი კვალიფიკაცია“, გვ. 5);

4) „საბაკალავრო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს არჩევითობა, პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში“ (იხ. „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა“, გვ. 8);

5) „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით: ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები“ (იხ.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სწავლის ხანგრძლივობა, გვ. 7);

▪ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან (მ.50¹, პ.2) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია უნივერსიტეტის მოქმედ დოკუმენტში - „ა(ა)პ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დაკორექტირდეს ჩანაწერი მიღებული განათლების (კრედიტების) აღიარების შესაძლებლობის შესახებ, კერძოდ: „8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის

მიზნებისათვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა“ (იხ. მ. 21. „მობილობის პროცესის ადმინისტრირება“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“ და მისი დანართები;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით (#14, 15.03. 2021) დამტკიცებული „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“;
- დამსაქმებლების გამოკითხვების ანკეტები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით).
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (განათლების აღიარებასთან დაკავშირებულ ჩანაწერში).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები აღწერილია დოკუმენტში „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, კერძოდ: „საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომლის დროსაც ხორციელდება თვითშეფასების და საავტორიზაციო/საკრედიტაციო ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და ავტორიზაციის/აკრედიტაციის ექსპერტთა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოების მიერ პოზიციების გამოხატვა და შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც მათი შინაარსის გათვალისწინებით, გამოიყენება პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში“.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამების აკრედიტაციის ვადა არის 7 წელი (ახალი პროგრამებისთვის - 4 წელი), ნაკლებად ეფექტიანია მხოლოდ ასეთი პერიოდულობით პროგრამის გარე შეფასება. მიზანშეწონილია დადგინდეს პროგრამის გარე შეფასების გონივრული პერიოდულობა, ასევე, პროგრამა შესასწავლად და შესაფასებლად გადაეცეს გარე პირებს - პოტენციურ დამსაქმებლებს, დარგის სპეციალისტებს, დარგობრივ ორგანიზაციებს, სხვ. ასევე, საუკეთესო პრაქტიკების და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, სასურველია, გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღონ უცხოეთის უსდ-ებმა, რომლების ამავე სფეროს/პროფილის პროგრამებს ახორციელებენ.

ამ ეტაპზე შეიძლება აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს გარე შეფასების მექანიზმი, თუმცა მისი გამოყენება ვერ შეფასდება, ვინაიდან აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ხოლო მოქმედი პროგრამების შემთხვევაში მითითებული მექანიზმების გამოყენების შესახებ ინფორმაციას ექსპერტები არ ფლობენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციების, ისე საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

○ -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პერიოდული შეფასების პროცესი რეგულირდება რამდენიმე დოკუმენტით, მათ შორისაა „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“ და „ა(ა)კ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის თვითშეფასების და ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობის სფეროების გადანაწილებას და კონკრეტული მიმართულებით სამუშაოს შესრულებას. პროგრამის შეფასების პროცესში დგინდება ისეთ კრიტერიუმებთან შესაბამისობა, როგორცაა: ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; გ) სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა; დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. ასევე, შეფასების პროცესში გამოიყენება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით“ გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები და უნივერსიტეტში დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

შეფასების პროცესში შესწავლას ექვემდებარება: პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლები (შედეგების ყოვეწლიური ანალიზი), ადგილობრივი ან/და საერთაშორისო სარეკომენდაციო დოკუმენტები, კვლევები და სტანდარტის კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებული თემატური დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, ადამისნური და მატერიალური რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფა (მათ შორის, დადგენილ სამიზნენიშნულებთან დადარებით), პროგრამის განხორციელებისა და ათვისების ხარისხი და სხვ. შეფასების პროცესი მოიზრებს დაინტერესებულ მხარეთა (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციე-

ლებლები, პოტენციური დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლას, მათ შორის: სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (სასწავლო კურსების შეფასების მიზნით ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს ჩატარებული გამოკითხვები და სასწავლო წლის დასასრულს მათი ანალიზი; სტუდენტთა კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით 2 წელიწადში ერთხელ ჩატარებული გამოკითხვები), კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ მათი კმაყოფილების ხარისხის დადგენის, რეკომენდაციების მიღების და კარიერული განვითარების შესწავლის მიზნით, ორ წელიწადში ერთხელ - მათი კარიერული განვითარების შესწავლის და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის რეკომენდაციების მიღების მიზნით); დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები (გამოკითხვა ტარდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ თითოეული პროგრამის მიზნებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში). შეფასების პროცესში გამოიყენება დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა ფორმები (მაგ., „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ და „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის ანგარიში“). შეფასების შედეგები ჯამდება და აისახევა თვითშეფასების ანგარიშში, მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი, გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, შესაბამისი გეგმებისა და მათი შესრულების გზების დასახვა და სხვ..

ექსპერტებთან გასაუბრების ფორმატში აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე, მოქმედი პროგრამების სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა კი განმარტეს, რომ პროგრამების შეფასება ტარდება სისტემატურად.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ:

1) ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის შეფასების თეორიული საფუძვლებისა და მექანიზმების არსებობის დადასტურება, მაგრამ შეუძლებელია მათი დანერგვის და გამოყენების ეფექტიანობისა და ხარისხის შეფასება, ვინაიდან აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ხოლო მოქმედი პროგრამების შემთხვევაში მითითებული მექანიზმების გამოყენების შესახებ ინფორმაციას ექსპერტები არ ფლობენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავებისა და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში ამ საკითხების მომწესრიგებელი რეგულაცია „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“: ა) ვერ იქნებოდა გამოყენებული რეგულაციაში არსებული მნიშვნელობანი ხარვეზების გამო (იხ. 5.1. ქვესტანდარტის აღწერა), ბ) არ იყო გამოყენებული, რადგან პროგრამის კურიკულუმში ეს საკითხები სხვაგვარად (კანონმდებლობის შესაბამისად) არის წარმოდგენილი და რეგულაციის გამოყენების შემთხვევაში არსებული ხარვეზები იქნებოდა იდენტიფიცირებული და დროულად გასწორებული.

2) დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის არარსებობის გამო ვერ დგინდება პროგრამის შემუშავების ეტაპზე უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და გაზიარების ფაქტი - ვიზიტამდე და ვიზიტის მიმდინარეობი-

სას აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტებსთვის მიწოდებული არ იყო. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა ვერ დაასახელეს უცხოეთის უსდ-ები, რომელთა გამოცდილება და პროგრამები შეისწავლეს აკრედიტაციის იზონით წარდგენილი პროგრამის შემუშავების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი“ და მისი დანართები;
- დამსაქმებლების და პროგრამების განმახორციელებლების ჩატარებული გამოკითხვების ანკეტები;
- გამოკითხვის ანკეტები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- აუცილებელია პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს როგორც მის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება, ისე ყველა მიმდინარე შეფასების და ანალიზის დოკუმენტირება, რის გარეშე შეუძლებელია შეფასების შედეგების რელევანტურობის დადგენა, პროგრამის შესაბამისობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული როგორც მეორე ენა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 53

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			X	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მიხეილ გიორგაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ინგა დიაკონიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა - სოფიკო შარაბიძე

